გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №62
2024 წლის 12 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, (ს/კ 66.45.23.598), პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერია მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 66.45.23.598), ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 21-ე მუხლის 5 [1] პუნქტის შესაბამისად, გეგმავს იმ ინერტული ნარჩენებით ამოვსებით ოპერაციებს, რომლებიც შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე და გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის.
აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 07 დეკემბრის N 454-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ. გორში, ღამბარაულის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 66.45.23.598) მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 263 000,00 (ორას სამოცდასამი ათასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ღამბარაულის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 66.45.23.598) მიწის ნაკვეთის, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ღამბარაულის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 66.45.23.598) მიწის ნაკვეთი გასცეს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. **აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:**

ა) მიწის ნაკვეთი გაცემული იქნეს იმ ინერტული ნარჩენებით ამოვსებითი ოპერაციების მიზნით, რომლებიც შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე და გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის;

ბ) მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.

გ) მიწის ნაკვეთზე გადის 110 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (ს/კ 66.00.121), შესაბამისად, მოიჯარეზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ, ისევე, როგორც, მიწის ნაკვეთზე, სხვა ნებისმიერი ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში;

დ) ნარჩენების ამოვსებითი ოპერაციის გამოყენების მიზნით, მოიჯარის მიერ უნდა მომზადდეს შესაბამისი პროექტი, სადაც დეტალურად უნდა იქნეს მოცემული ინფორმაცია, ამოვსებითი ოპერაციისათვის გამოყენებული ნარჩენების კოდ(ებ)ის, დასახელების და რაოდენობის შესახებ და აღნიშნული პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებული უნდა იქნეს უფლებამოსილ ორგანოსთან; მოიჯარეს შეუძლია ოპერირება დაიწყოს მხოლოდ აღნიშნული პროექტის შეთანხმების შემდეგ;

ე) მოიჯარის საქმიანობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას;

ვ) მოიჯარემ, საქმიანობის დაწყებამდე, უნდა მოაწყოს ფერდობიდან წამოსული ზედაპირული წყლებისგან დამცავი წყალსარინი გრუნტის არხი, რათა გამოირიცხოს შეტანილი მასის ჩარეცხვა; აღნიშნული გრუნტის არხის მოწყობა შეთანხმებული იქნეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან;

ზ) საიჯარო ურთიერთობა დაიწყება და შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება ძალაში შევა და იჯარის ვადის ათვლა დაიწყება აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

თ) მოიჯარის მიერ საქმიანობა დაიწყება ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებისა და ამავე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალსწინებული დამცავი წყალსარინი გრუნტის არხის მოწყობის შემდეგ.

ი) დაცული იქნას უსაფრთხოების და სანიტარული ზომები და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს 13 200 (ცამეტი ათას ორასი) ლარით.

4. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებული იქნას „მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით და ჩაბარებული იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**